



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 5

2024 წლის 30 აპრილი

„ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის №9 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010260000.35.138.016323) და დადგენილებით დამტკიცებული დანართის (დებულება):

1. მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მერიის სამსახურებია:

- ა) ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახური;
- ბ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;
- გ) ეკონომიკური სამსახური;
- დ) ინფრასტრუქტურის სამსახური;
- ე) განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური;
- ვ) შიდა აუდიტის სამსახური;
- ზ) ზედამხედველობის სამსახური;
- თ) საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური;
- ი) სახელმწიფო შესყიდვების სამსახური.“

მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-10 პუნქტი:

„10. სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: შესაბამისი ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის წინადადებების მომზადების უზრუნველყოფა, კანონის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 14 მაისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე